# აგროდაზღვევის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

**წინამდებარე დოკუმენტი - ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ; დაზღვევის შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის N236 დადგენილებაში „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - დადგენილება), ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“-ს და სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევა“-ს შორის გაფორმებულ აგროდაზღვევის შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში - ხელშეკრულება), რომელიც განთავსებულია მზღვეველის ვებ გვერდზე www.nvi.ge და სადაზღვევო პოლისში; დადგენილება, ხელშეკრულება, სადაზღვევო პოლისი და ყველა შესაბამისი დანართი წარმოადგენს ხელშეკრულებას მხარეთა შორის.**

1. **მზღვეველი** - სს “ნიუ ვიჟენ დაზღვევა“;
2. **დაზღვევის ხელშეკრულების სახე** – აგროდაზღვევა;
3. **დაზღვეული რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები:** დაზღვეულ რისკებს წარმოადგენს სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის), თუ ეს რისკები დადგება სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღიდან 4 (ოთხი) უწყვეტი კალენდარული დღის შემდგომ;
4. **ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები** - ფრანშიზა არის არაანაზღაურებადი მინიმუმი, რომლის გამოქვითვა ხორციელდება თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის. ფრანშიზა გამოითვლება როგორც სადაზღვევო ლიმიტის 10% (ხელშეკრულების დანართით #1 განსაზღვრული ციტრუსის შემთხვევაში, სადაზღვევო ლიმიტის 15%, ასევე ხეხილოვან კულტურებში ქარიშხლის რისკით მიყენებული ზიანის შემთხვევაში - 15%) ან მისაღები მოსავლის ოდენობის სადაზღვევო ანაზღაურების გაანგარიშებისას გამოყენებულ ფასზე გამრავლებით მიღებული ღირებულების 10% (ხელშეკრულების დანართით #1 განსაზღვრული ციტრუსის შემთხვევაში 15%). მითითებული ორი სიდიდიდან გამოიქვითება ის ოდენობა, რომელიც უფრო მცირე იქნება. ამასთან, ერთი და იგივე რისკის ხდომილებისას, იმ შემთხვევაში თუ მეორე სადაზღვევო შემთხვევა მოხდება წინა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენამდე, ფრანშიზა გამოიქვითება ერთჯერადად მხოლოდ იმ პირობით, რომ მზღვეველს ორივე სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინება მიღებული აქვს დადგენილებით განსაზღვრული წესით. განმეორებით შემთხვევებზე ფრანშიზის დაქვითვა მოხდება არა საწყისი სადაზღვევო თანხიდან, არამედ წინა შემთხვევით გამოწვეული დაზიანების პროცენტული მაჩვენებლით სადაზღვევო ლიმიტიდან;

**5. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: განსაზღვრულია სადაზღვევო პოლისით;**

6. სადაზღვევო პერიოდი: განსაზღვრულია სადაზღვევო პოლისით;

7. სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობებისგან;

8. სადაზღვევო თანხის ოდენობა: განსაზღვრულია სადაზღვევო პოლისით;

9. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის შეტყობინების გაგზავნის წესი მოცემულია აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის #236 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, სადაზღვევო პოლისზე თანდართული პირობების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის 3.1.1 ქვეპუნქტის „ა“ პუნქტში;

10. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მიზნით მოთხოვნის წარდგენის წესი მოცემულია დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, სადაზღვევო პოლისზე თანდართული პირობების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის 3.1.1 ქვეპუნქტის „ა“ პუნქტში;

11. სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების შესახებ დეტალური პროცედურები მოცემულია დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში, სადაზღვევო პოლისზე თანდართული პირობების მე-3 მუხლში, ხელშეკრულების დანართში N6;

12. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხი დარეგულირებულია დადგენილების მე-3 და მე-9 მუხლებით, სადაზღვევო პოლისზე თანდართული პირობების მე-3 მუხლით, ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის 4.2.6 და 4.2.7 ქვეპუნქტებით;

13. დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს:

- სრული, ამომწურავი, სწორი და ნამდვილი ინფორმაცია დაზღვევის რისკების შესახებ;
- დაზღვევის მიზნით შესავსებ განაცხადში მიუთითოს სწორი და სრული ინფორმაცია;
- ინფორმაცია ორმაგი დაზღვევის არსებობის შესახებ;
- სრული და სწორი ინფორმაცია სადაზღვევო რისკების შესაძლო გაზრდის ან/და ასეთი საფრთხის წარმოშობის/სავარაუდო წარმოშობის შესახებ;
- სრული და სწორი ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- სხვა ინფორმაცია, რომლის მიწოდების ვალდებულებაც ეკისრება დამზღვევს ხელშეკრულების შესაბამისად;

დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოა მზღვეველის მიერ სრულყოფილი სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით; დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის აღნიშნული ინფორმაციის მიუწოდებლობის ან/და არასრული სახით მიწოდების ან/და მცდარი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალის ანაზღაურებაზე;

**14. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:** დაზღვევის ხელშეკრულების/პოლისის ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) მზღვევლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;

ბ) სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლა;

გ) მოსავლის სრულად აღება დაზღვეული ტერიტორიიდან;

დ) მოსავლის ტექნიკური სიმწიფის დასრულება;

ე) მოსავლის ან სარგავი მასალის (ჩითილის) სრული განადგურება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და დადგენილებით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

**15. დაზღვევის გამონაკლისი პირობები (შემთხვევები, რაც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით) განსაზღვრულია დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, ხელშეკრულების მე-17 მუხლით :**

**მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვევის ობიექტისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია:**

- **საყოველთაოდ აღიარებული სასოფლო–სამეურნეო და მოსავლის აღების პრაქტიკის (რომელიც სრულად შეესაბამება კონკრეტული მიკრო ზონას და აგრო კულტურას) დაუცველობით;**
- **დაუზღვეველი რისკებით, მაშინაც კი, თუ ასეთი ზიანი დადგა სადაზღვევო რისკთან ერთად ან მასთან კავშირში. მიყენებული ზიანი ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიყენებულია უშუალოდ სადაზღვევო რისკის(ების) შედეგად.**
- **დამზღვევის/მოსარგებლის განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მათ შორის დამზღვევის/მოსარგებლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მოსავლის გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით ყველა გონივრული ზომის გამოუყენებლობა ზიანის დადგომისას ან მის შემდეგ.**
- **ზიანი, რომელიც დადგა შემდეგი გარემოებების დროს, ასეთი გარემოებების ფონზე ან მათთან კავშირში:**
    - **როგორიცაა დაავადებათა, მწერთა და მღრღნელთა გავრცელება, დაგვიანებული მწიფობა და სხვა;**
    - **ზიანი, რომელიც არ აღემატება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ ფრანშიზას;**
    - **სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის მიყენებული დაზიანებები, თუ ასეთი დაზიანებები არ იწვევს ასეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის დაღუპვას/განადგურებას/დანაკარგს;**
- **ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო ომით, მასობრივი არეულობით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლინებით, ისეთი სტიქიური/ბუნებრივი მოვლენებით, რომლებიც არ წარმოადგენს აგროპროგრამით დაზღვეულ რისკებს, ასევე ამ გარემოებების დროს დამდგარი სადაზღვევო რისკებით გამოწვეული ზიანი.**

**16. დაზღვეულთა პრეტენზიების განხილვა.**

**16.1.** მზღვეველის მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, პრეტენზიის მიღება, განხილვა და რეგულირება ხდება მზღვეველის „მომხმარებელთა პრეტენზიების მიღებისა და განხილვის

პროცედურის“ შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ელექტრონული სახით შემდეგ მისამართზე **www.nvi.ge**. დამზღვევის/დაზღვეულის პრეტენზია წარედგინება მზღვეველის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურს შემდეგი საშუალებით:

- წერილობითი (მატერიალური) ფორმით გამოხატული პრეტენზია წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების სახით მომხმარებლის საკომუნიკაციო საშუალებების (ტელეფონი, ელ-ფოსტა) მითითებით, მზღვეველის მისამართზე ქ. თბილისი, ე, მიქელაძის 1ბ; პასუხის მიღების მაქსიმალური ვადაა საპრეტენზიო განცხადების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
- ელექტრონული ფორმით გამოხატული პრეტენზია, წარმოდგენილი უნდა იქნას საპრეტენზიო განცხადების ელექტრონული ვერსიის ან სხვა არასტანდარტული განცხადების ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე – **insurance@nvi.ge**. პასუხის მიღების მაქსიმალური ვადაა საპრეტენზიო განცხადების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე;
- ზეპირსიტყვიერი ფორმით გამოხატული პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნას მზღვეველის საინფორმაციო სამსახურში პრეტენზიის დაფიქსირებით. პასუხის მიღების მაქსიმალური ვადაა საპრეტენზიო განცხადების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

16.2. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები მორიგების მიზნით მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2 555 155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge ან მისამართზე: თბილისი, მოსაშვილის ქუჩა 24;

16.3. დამზღვევი უფლებამოსილია, ასევე, მიმართოს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს; ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. N3, ტელ: +995 32 223 44 10.

**მზღვეველი**

**დამზღვევი**